ხელშეკრულება № 17

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ზესტაფონი

18 მარტი 2017 წელი

ა(ა)იპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალაძის სახელობის სპორტული განვითარების ცენტრი", შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მმართველის გურამ კაკოიშვილის სახით და შპს რამაკა ს/ნ 412704505 "შემდგომში "მიმწოდებელი" ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვთანხმდებით, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურება CPV 79820000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარი 00 თ.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული ხარისხიანი საქონელი ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მისამართზე: ქ.ზესტაფონი რუსთაველის ქ. №1ა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი საქონელთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მიღება ჩაბარების აქტის აქტის გაფორმებამდე აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 2 დღეში;

გ) სამუშაოს შესრულების პარალელურად, "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის"(საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი).

4. 2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

5. ხარისხი

5.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს.

5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული ( არ გამოავლენს ხარვეზებს), ასევე იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი დეფექტის მქონე საქონლის შეცვლა შეტყობინების მიღებიდან 2(ორი) დღის ვადაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

6.2 საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 ამ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით მომსახურების, ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

11.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი უფლებამოსილი კომისია.

**12. დავების გადაწყვეტა**

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ზემოთაღნიშნული მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**13. ხელშეკრულების შეწყვეტა**

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

13.2 ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინებისა შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

**14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მაისამდე .

**15. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.

**16. მხარეთა რეკვიზიტები**

შემსყიდველი

| ს/კ | 4 | 3 | 0 | 0 | 2 | 6 | 8 | 0 | 2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

დასახელება ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ.სალაძის სახ. სპორტულ -გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი
მისამართი ზესტაფონი რუსთაველის ქ.№1ა
ბანკი სახელმწიფო ხაზინა

დირექტორის

ბ.ა.

430026802

მიმწოდებელი

| ს/კ | 4 | 1 | 2 | 7 | 0 | 4 | 5 | 0 | 5 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

დასახელება შპს რაპაკა
ტელ: №
მისამართი ქ. ქუთაისი
ბანკი პროკრედიტ ბანკი
კოდი: MIBGGE22
ანგარიში GE54PC0013600100045900

RAPAKA
შპს რაპაკა
412704505

დირექტორი

## მიღება - ჩაბარების აქტი N17

18 მარტი 2017

ერთის მხრივ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალაძის სახელობის სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის დირექტორი გურამ კაკოიშვილი შემდგომში მიმღებად წოდებული .

მეორეს მხრივ შპს რაპაკა ს/ნ 412704505 შემდგომში ჩამბარებლად წოდებული.

ჩვენს მიერ გაფორმებული N17 ხელშეკრულების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი ჩამბარებელმა ჩააბარა და მიმღებმა მიიღო.

1. სპორტულ ფორმებზე ბეჭდვა - 40 ცალიX 15 ლარი

სულ თანხა 600 ლარი

ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია

ჩამბარებელი: RAPAKA შპს რაპაკა 412704505

მიმღები: 430826602

RAPAKA
სარეკლამო კომპანია

# შპს რაპაკა
# LTD RAPAKA

№ 371

17 მარტი 2017

## ინვოისი

| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ფასი (GEL) |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 40 | 15 | 600 |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |
| ჯამი | | | | 600 |

კომპანია: [illegible]
ს/კ:
მისამართი:
იურ. მისამართი:

დირექტორი: კახაბერი გვეტაძე
კომპანია: შპს რაპაკა
ს/კ: 412704505
მის: ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2
ბანკი: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ნ: GE54 PC00 1360 0100 0459 00

# მოკვლევის აქტი

მომწოდებელი: ნუნუ ხუსკივაძე 17.03. 2017 წ

საიდენტიფიკაციო ნომერი: 18001042179

ბანკის დასახელება: სს ბანკი რესპუბლიკა

მისამართი: ზესტაფონი წერეთლის 2

ბანკის ანგარიშის N GE70BR0000010388665694

ბანკის კოდი: REPLGE22

ტელ:

შემსყიდველი ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ.სალაძის სახ. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი

საიდენტიფიკაციო ნომერი 430026802

ბანკი: სს ლიბერტი ბანკი ზესტაფონის ფილიალი

მისამართი: ქ.ზესტაფონი რუსთაველის ქ. N1ა

ანგარიში: N GE21LB0115160615682000

ბანკის კოდი: LBRTGE22

ტელ: 0(492) 24 11 12

| N | მასალების დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | ერთ. ფასი (ლარებში) | თანხა (ლარებში) | შენიშვნები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპორტის ფორმაზე ბეჭდვა | ცალი | 40 | 18 | 720 | |
| | | | | | 720 | |

თანხა სიტყვიერად შვიდასოცი ლარი

დირექტორი: ნ ხუსკივაძე

ბუღალტერი: